**ფასი 30 თეთრი** *გაზეთი გამოდის ორშაბათობით*

# ფანტაზია

**№ 13 (39)**

21-27 აპრილი | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი







## კონკურსი!

კასანდრას ორეულებს ვთხოვთ მობრძანდნენ რედაქციაში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. თან იქონიეთ ფოტო. გამარჯვებული მიიღებს წოდებას „მის კასანდრა“ და დაჯილდოვდება სამახსოვრო პრიზით, ხოლო მისი ფოტო გაეგზავნება ანალოგიურ კონკურსს, რომელიც ტარდება ვენესუელაში.

*ვარსკვლავეთი*

## ჰოლივუდელი მეკობრე ქალები



ჰოლივუდი ერთი დიდი საერთო საცხოვრებელია და თუ თქვენ გგონიათ, რომ მისი ბინადარნი მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ ოთხ კედელს შესქცერიან თავის გაფუფუნებულ ვილებში სადმე ბევერლი-ჰილზის, სანტა-ბარბარას ან ბელ ეირის სიახლოვეს, თქვენ არა მარტო ცდებით, არამედ სცოდავთ კიდეც, რადგან ისინი გამუდმებულ გადაღებებზე არიან, გამუდმებით გადიან რეპეტიციებს და დღეში ოცჯერ მაინც უხდებათ სქესობრივი კონტაქტის დამყარება კინოკამერების „თვალწინ“.

ასეთი „მჭიდრო კონტაქტი“ მათ შორის ორი საწინააღმდეგო გრძნობის წარმოშობას უწყობს ხელს; ესენია — სიძულვილი და სიყვარული. მოდით, მხოლოდ სიყვარულს შევეხოთ:

ვარსკვლავთა სიყვარულს, თავის მხრივ, განვითარების სამი საფეხური გააჩნია, რომელთა გრადაცია ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავების გრძნობებისა, ანუ: პლატონური სიყვარული, რომანი და ქორწინება. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ინტენსიურობაა ძალზედ თვალშისაცემი. აი, მაგალითად:

ბრედ პიტი წვეულებაზე შეხვდა კორტნი ლავს, რომელსაც სწორედ მაშინ „გამოაცალა“ სიკვდილმა ხელიდან კურტ კობეინი. ბრედს მხოლოდ ის სურდა, რომ ქვრივი ქალი ენუგეშებინა, რის მადლიერების ნიშნადაც ქალმა ერთგვარი „კონტრაქტი“ შესთავაზა „პარტნიორობისა“ ერთის პირობით, რომ მათ შორის სიყვარული არ ჩასახულიყო (უფრო სწორად ბრედს არ შეჰყვარებოდა ქალი...) ბრედმა კი ორიოდე კვირის შემდეგ კორტნის ბრილიანტის ბეჭედი მიართვა და ცოლობა სთხოვა, თუმცა მეორე დღეს განუცხადა — ვიხუმრეო! (ასეთია „კონტრაქტის“ ძალა აშშ-ში!). მანამდე კი ბრედ პიტს ერთი „კონტრაქტი“ უკვე დარღვეული ჰქონდა უმა ტურმანთან, რომელმაც აღნიშნული რღვევის შემდეგ (მოღალატე პარტნიორის ჯინაზე) ოთხი რომანი „გააიმასქნა“ კალეიდოსკოპური სისწრაფით — ნიკოლას კეიჯთან, ტიმოთი პატონთან, რობერტ დე ნიროსთან და იტან ჰოუკთან. მეხუთე ჯერზე კი უმამ დაამუხრუჭა და გარი ოლდმანს (ნამდვილ) ცოლად გაჰყვა. იმ მეოთხემ კი (იტან ჰოუკი) უმალ გაყო თავი სხვა „მეკობრის“ უღელში, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ჯულია რობერტსი ერქვა. შემდეგ ჯულიამ, რა თქმა უნდა, დიდებულად განაგრძო „მეკობრეობა“ და ამერიკული სერიალების გმირების შემდეგ უფრო ცნობილ მსახიობებზე მოაწყო წარმატებული ლაშქრობა, როგორებიც იყვნენ: კიფერ სეზერლენდი, ლაიამ ნილსონი, ლაილ ლოვეტი და ჯეისონ პატრიკი.

არ შეიძლება „მეკობრეთა“ სიაში სინდი კროუფორდის არხსენებაც. მან, რიჩარდ გირთან განშორების შემდეგ, წარმატებულად გაინადირა ველ კილმერზე და ნადირობას ეშხით დონ ჯონსონიც ზედ მიაყოლა, ამ უკანასკნელს კი, მადლობა ღმერთს, უკვე თავი ჰქონდა დაღწეული მელანი გრიფიტის ტყვეობისაგან და მისის მელანის სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ ესპანეთიდან წყეული ანტაონიო ბანდერასი არ მოეხიბლა.

ალბათ, საკმარისია ამ ამბების თხრობა და რაიმე მორალის დართვაა დროული? კი ბატონო! — ესეც მორალი:

*„კონტრაქტის“ გაფორმებისას აუცილებლად გაითვალისწინეთ პარტნიორის ხასიათის ცვალებადობა დროის პერსპექტივაში!*



## ვალდის პელში ქართველების სიძე ვერ გახდა

მელოდიის ამომცნობთა კუმირი ვალდის პელში პირველ ცოლს გაშორდა და ორიოდე კვირის წინ მეორედ იქორწინა. ცერემონია მოსკოვის რესტორან „მეტროპოლში“ გაიმართა და საოცარი ფუფუნებით გამოირჩეოდა. სტუმართა შორის იყვნენ ჟირინოვსკი და სხვა ცნობილი პოლიტიკოსები; ლაიმა ვაიკულემ, რომელიც სპეციალურად ჩამოფრინდა რიგიდან, ახალდაქორწინებულებს ბალტიის წყლით სავსე ოქროს ლარნაკი აჩუქა, ალა პუგაჩოვამ კი, პირიქით, უძვირფასესი ბროლის ლარნაკი დაამსხვრია ნეფე-დედოფლის ბენდიერების ნიშნად.

წვეულთა შორის იყო ვალდისის ცოლობის ერთ-ერთი სხვა რეალური პრეტენდენტი იზოლდა იშხანიშვილიც, რომელსაც არანაირი ისტერიკა არ აუტეხავს, იგი ღიმილით დასეირნობდა სტუმრებს შორის და ყოველ შესაფერის მომენტში თვალს უპაჭუნებდა თავის ყოფილ ბოი-ფრენდს, ვალდის პელშს.

თავად პატარძალი კი იმ საღამოს შეკრებილი ბომონდისათვის უცნობი დარჩა, რომელსაც მთელი საღამოს მანძილზე ერთხელაც არ ჩამოუხსნია სქელი, გაუმჭვირვალე პირბადე. პოპულარულმა ტელეწამყვანმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ არ სურს საკუთარი ცოლის აფიშირება საზოგადოების თვალში.

ასე დაიკარგა შანსი იმისა, რომ ქართველებს ლატვიელი სიძე შეგვეძინა.

*(ინფორმაცია „სობესედნიკიდან“)*



«კროს-ფანტაზია»
იხილეთ მე-4 გვ.

### ნომრის ანეკდოტი

კაცი მივიდა აფთიაქში და ჩასახვის საწინააღმდეგო „საშუალება“ მოითხოვა. გამყიდველმა მას სამი ვარიანტი შესთავაზა:

— თეთრი, შავი და მიკი მაუსის გამოსახულებიანი.

კაცი დაფიქრდა:

— თეთრი — ძალზე ჩვეულებრივი ფერია, მიკი მაუსიანი — ძალზედ ბავშვურია...

ამიტომაც შავი აირჩია.

მიუხედავად „საშუალების“ გამოყენებისა, მისი ცოლი მაინც დაორსულდა და 9 თვეში შავი გოგონა გააჩინა.

— მამიკო, მამიკო! შენ თეთრი ხარ, დედიკო თეთრია, მე რატომ ვარ შავი? — უთხრა ერთხელ გოგონამ.

— მადლობა თქვი, რომ მიკი მაუსი არა ხარ, შვილო!





## ნაცნობი ფრანგები ნაცნობ გაზეთში

იხილეთ მე-6 გვ.

### ნომრის ციტატა

**არ არსებობს მოტყუებული მამაკაცი, რომლის მოტყუება მეორედაც არ შეიძლებოდეს**

*ბერნარდ შოუ*

**სტუდია „ვიდეოეკრანი“ გთავაზობთ:**

**უკანასკნელი კვირის ვიდეო და აუდიო ჰიტ-პარადებს**

იხილეთ მე-6 გვ.

# ...ასეთი გულახდილი დევიდ კოპერფილდი ჯერ არ ყოფილა



## ოდესელი თვალთმაქცი

### ინტერვიუ დევიდ კოპერფილდთან

ოდესღაც, წლების წინათ, ოდესის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში დაიარებოდა ერთი ჩვეულებრივი ყმაწვილი. მას აღმზრდელი და თანატოლები დოდიკს ეძახდნენ. გვარიც სასაცილო ჰქონდა - კოტკინი, გავიდა წლები და დოდიკ კოტკინი გახდა დევიდ კოპერფილდი, ამერიკის უმდიდრესი ადამიანი, ილუზიონისტი.

მას მაინცდამაინც არ უყვარს გულახდილი ინტერვიუები და ეს ბოლო ინტერვიუ მართლაც სენსაციურია. უსმინეთ:

— თქვენ მთელი მსოფლიო გიცნობთ, გაქვთ უზარმაზარი ციხე-სიმაგრე ლას-ვეგასში. ბოლოსდაბოლოს, კლაუდიას უყვარხართ. მიაღწიეთ, რაც გსურდათ?

— შეიძლება ითქვას, კი. მე, რუსი ემიგრანტის შვილი, ბავშვობაში ძალიან მორცხვი და კომპლექსებით ალსავსე ვიყავი. გოგოები ხომ ყურადღების ღირსადაც არ მთვლიდნენ. ფოკუსების სწავლა სწორედ მათი ყურადღების მისაქცევად გადავწყვიტე. თავის მოწონების ეს სურვილი ახლაც ხშირად მეწვევა ხოლმე. ჩემი ყოველი სპექტაკლის დროს მე ყველაზე ლამაზ ქალიშვილს ვირჩევ და მონაწილეობას ვალებინებ ჩემს შოუში.



— თქვენ გადააფრინდით ამერიკის ყველაზე ღრმა კანიონს, ცეცხლწაკიდებული კასრით ჩაეშვით ნიაგარას ჩანჩქერში და ა. შ. თქვენ რა, ბედს გამოცდას უწყობთ? გიზიდავთ რისკი?

— არა. მე მიყვარს სიკვდილთან გათამაშება. არა, სიკვდილი კი არ მსურს. ჩემი რისკი ყოველთვის უზუსტეს გათვლებს ეყრდნობა. მაგრამ მე ჩემი ინდივიდუალური რეჟიმი მაქვს, არ შემიძლია, ოთხ წელიწადში ერთხელ ჩემი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავაგდო, ბედი დუელში არ გამოვიწვიო. ეს მეხმარება ფიზიკური ფორმისა და მორალური სახის შენარჩუნებაში.

— ყოფილა შემთხვევა, როცა თქვენს სიცოცხლეს რეალური საფრთხე დამუქრებოდა?

— კი. ნიაგარაში კინაღამ სული უფალს არ მივაბარე. თუმცა, ეგ რა არის, კინაღამ „ფერარიმ" გამჭყლიტა. ავტომობილი ერთ მეტრზე მქონდა აწეული ჩემს თავზე, როდესაც ის ჩამოვარდა. კიდევ კარგი სამ მეტრზე არ მქონდა აწეული, მაშინ ჩემს ადგილზე მხოლოდ გაურკვეველი შედგენილობის სველი ლაქალა დარჩებოდა.

— კი მაგრამ, ქორწინების შემდგომაც აპირებთ რისკზე წასვლას?

— კი, ალბათ. მე ჩემს თავს თუ უფსკრულის პირას არ ვგრძნობ, ისე ვერ ვისვენებ.

— კლაუდია რას ამბობს?

— იმედი მაქვს, რომ თანდათან გამიგებს.

— გქონიათ შემთხვევა, როცა ფოკუსი არ გამოგსვლიათ?

— იყო ასეთი შემთხვევა ბერმუდის კუნძულებზე. არ ვიცი, რისი ბრალი იყო — მოჯადოებული სამკუთხედისა თუ სხვა რამისა, არაფერი არ გამომივიდა.

— ხომ ვერ გაგვიმხელდით, როგორ მოახერხეთ თავისუფლების ქანდაკების გაქრობა?

— ბევრნი დარწმუნებულნი არიან, რომ მე სხვა პლანეტიდან ვარ მოსული. ვინ იცის, იქნებ ეს ასეცაა...

— კიდევ რა საოცრებების მოხდენას აპირებთ!

— მაგას რა ჩამოთვლის! მინდა ეიფელის კოშკის გაქრობა, რაშმორის კლდეებზე გამოკვეთილ პრეზიდენტთა შორის ქალის სახის ჩასმა...

— თქვენი მონაცემების კაცს არ უნდა გაუჭირდეს ბანკის გაძარცვა ან კაზინოში დიდი ფულის მოგება...

— რა თქმა უნდა! იმიტომაც არ მიშვებენ კაზინოში, ვისა აქვს გადასაყრელი მილიონები...

— თქვენი შოუს რომელი ნომრებით ამაყობთ?

— გაფრენით. გაფრენა პუბლიკაზე უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენს და ეს გასაგებიცაა — ფრენა ხომ ყველას უნდა, ეს ადამიანის ძველისძველი ოცნებაა. როდესაც მე დავფრინავ, ხალხი ექსტაზში ვარდება, ტირის.

— ყველაზე ძნელი ტრიუკი რომელია?

— იგივე, გაფრენები. ჩემთვის არც იმდენად, რამდენადაც მაყურებლებიდან არჩეული ჩემი პარტნიორი ქალისათვის, რომელიც შიშისაგან მეკვრის, ვარდება ისტერიკაში და ყვირის. თუ ეს ხმაური სახიფათო ხდება, ვწყვეტ ნომერს და ვეშვები, თორემ შეიძლება ჩამოვვარდეთ კიდეც.

— რამდენმა ადამიანმა იცის თქვენი საიდუმლოებები?

— ჩემს გუნდში 40 სპეციალისტი-ტექნოლოგია, ისინი მეხმარებიან, მაგრამ არც ერთმა მათგანმა თავიდან ბოლომდე არც ერთი ნომერი არ იცის. ყოველი მათგანი თავის მონაკვეთს ასრულებს.





— როგორ ამზადებთ თქვენს ნომრებს?

— ჯერ მოვიფიქრებ ხოლმე, შემდეგ ვამუშავებ ჩემს გუნდთან ერთად.

— კლაუდია შიფერი მთელ რიგ ქვეყნებში თქვენზე დიდი მოწონებით სარგებლობს, როგორ უყურებთ ამას?

— მე ამაზე არ ვფიქრობ. არ მიყვარს, როცა ცნობილ ადამიანებს პირად ცხოვრებაზე ეკითხებიან ხოლმე. მე ვცდილობ, გარეშე პირთა მზერა ჩამოვაცილო ჩემს კერძო საქმეებს.

— ამიტომაც გავრცელდა თქვენზე ხმები — ჰომოსექსუალისტიაო...

— როდესაც ხალხს ინფორმაცია არა აქვს, მას იგონებენ. რას იზამ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ქალები ყოველთვის მიყვარდა და ჩემს ხელში ბევრ მათგანს გაუვლია...

— თქვენ ჯადოქრის ახალი ტიპი შექმენით.

— დიახ, მე განგებ გავაკეთე ასე. მე არ მომწონდა გაცვეთილი სახე შავლაბადიანი ვარსკვლავთმრიცხველისა და მე ეს შევცვალე.

— აპირებთ თუ არა კლაუდიას უშუალოდ ჩართვას თქვენს წარმოდგენებში?

— არა, რას ამბობთ, მე ხომ ის ძალიან მიყვარს!

მოამზადა
ვახტანგ ელერდაშვილმა

## ანეკდოტები

(დიდი სექსის პატარა ისტორიები)

გოგონა ეკითხება დედას:

— დედა, რა არის სექსი?

— სექსი არის ის, როცა მამაკაცი ფულის საშუალებით ეუფლება ქალის სხეულს.

— მაშ, დიდი სექსი რა არის?

— დიდი სექსი არის ის, როცა ქალი ფულის საშუალებით ყიდულობს კაცის სხეულს.

— სიყვარული რაღაა?

— ეჰ, ჩემო გოგონა, ეს კი მამაშენმა მოიგონა, სახლში ფული რომ არ მოიტანოს.

....

კითხვა ანკეტაში:

— ელაპარაკებით თუ არა ქმარს „სიყვარულის" დროს?

პასუხი:

— ველაპარაკები, თუ ტელეფონი ახლოსაა.

...

ორი ქალი საუბრობს:

— მე და ჩემი ქმარი რომ ვჩხუბობთ, იმით ვაშინებ, რომ ვეუბნები — დედასთან წავალ-მეთქი.

— მე კი — პირიქით, ვეუბნები — დედაჩემს ჩამოვიყვან-მეთქი.

## «ამხანაგებო! მე დავამხე კოპერფილდის მითი!»



... ეს სიტყვები კაშპიროვსკებისა და ჩუმაკების „ტრადიციის" გამგრძელებელს, იური ლონგოს ეკუთვნის; მართალია, არც ეს უკანასკნელი რუსი „ჯადოქარია" ნაირგვარი ილუზიებისაგან დაზღვეული, მაგრამ, როგორც ჩანს, ანგარიშგასაწევია მისი ზოგიერთი აღმოჩენა დევიდ კოპერფილდის შემოქმედებითი არსენალიდან.

„... გნებავთ, გაიგოთ, თუ როგორ ფრენს დევიდ კოპერფილდი? ან ის თუ გაინტერესებთ — რა დაუჯდა მას ამგვარი „უნარის" შეთვისება? მოგახსენებთ:

ლევიტაცია ანუ დედამიწის მიზიდულობის კანონის წინააღმდეგ მიწიდან მოწყვეტის შესაძლებლობა, რაც მხოლოდ მე, იური ლონგომ შევძელი ერთხელ. მას საერთოდ არ გააჩნია. საქმე იმაშია, რომ 1976 წელს ამერიკელმა მეცნიერმა პოლიმერული მასალების დარგში, დოქტორმა კორკმა, გამოიგონა ძაფი, რომელიც სამი ტონის დატვირთვას უძლებს და, რაც ყველაზე მთავარია, ადამიანის თვალისათვის უხილავი გახლავთ გარკვეულ, სპეციალურ ფონზე. როგორც ჩანს, სპეციალურმა სამსახურმა ამცნო კოპერფილდს ამ გამოგონების შესახებ და დევიდიც სასწრაფოდ გაემგზავრა კორკთან, მაიამიში. როგორც აშშ-ში შევიტყე, კოპერფილდმა მოახერხა მოლაპარაკებოდა მეცნიერს, რომ რვაასი ათასი დოლარის საფასურად მიეღო ამ გამოგონების პატენტი და ამის შემდეგ საერთოდ უკაპიკოდ დარჩა, თუმცა ეს დანახარჯი სულ მალე დიდი მოგებით იქნა ანაზღაურებული.

თუ მიგიქცევიათ ყურადღება, დევიდი მხოლოდ და მხოლოდ ცისფერი ფონის წინ ფრენს, რადგან ის ძაფი სწორედ ასეთ ფონზე ხდება უხილავი. თანაც იგი ამ დროს იყენებს არა ერთ, არამედ სამ ძაფს. „საბმელების" ასეთი რაოდენობა იმისთვისაა საჭირო, რომ მას „ფრენისას" უკეთესი „მანევრირება" შეეძლოს. იმასაც შენიშნავდით, რომ კოპერფილდი მხოლოდ სვიტერში გამოწყობილი ფრენს, რომლის ქვეშ იმალება ლითონის კარკასი, ათასგვარი ხლართებით გადაბმული და ამ კარკასის აღჭურვა მე ჩემი თვალით ვნახე. მიუხედავად ამისა, ის ელეგანტურობა, რითაც ტრიუკი სრულდება, გარკვეულ აღფრთოვანებას იწვევს, რადგან ფრენის სრული ილუზია იქმნება. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ კოპერფილდი ამ ნომრისათვის ერთი წელი რეპეტიციებს გადიოდა; იგი „ფრენასთან" შეგუების მიზნით ფუთიან გირებს იბამდა ხელფეხზე, მერე ხელში იყვანდა თავის ასისტენტებს და ერთობლივი ფრენის ილუზიას ქმნიდა. ამიტომაცაა, რომ ახლა იგი ასეთი სიმსუბუქით „დააფრენს" ცაში მომხიბლავ გოგონებს და არცერთი მათგანის დაბლა ჩამოგდებისა არ ეშინია. ვიმეორებ — ეს ყველაფერი ცის ბუნებრივ ცისფერ ფონზე ხდება, სადაც სამაგრი ძაფები არ ჩანს, ძაფებით კი იგი მიმაგრებულია ძალზედ მაღლა მოძრავ შვეულმფრენზე... აქვე ერთი კომპლიმენტი უნდა ვთქვა მაესტროს მიმართ — დოქტორ კორკს ამგვარი ძაფი რომ არ გამოეგონებინა, კოპერფილდი მაინც შეძლებდა „ფრენის" საშუალების გამონახვას, რადგან, ტექნიკური უზრუნველყოფისა და პროფესიონალური ფანტაზიის თვალსაზრისით, მე მგონი, მისი ბადალი ამქვეყნად არავინაა და უახლოეს მომავალში არც გამოჩნდება ვინმე.



## კლაუდია შიფერი ებრძვის კიბოს

... და ვიდრე კლაუდიას სახელოვანი მეუღლე სიკვდილთან თამაშითაა გართული, თავად კლაუდიამ ბრძოლა გამოუცხადა სიკვდილს.

მან (კლაუდიამ) დემი მურის, ლინდა ევანჯელისტას და სეიმურის კომპანიასთან ერთად გადაწყვიტა შეერთებოდა მკერდის კიბოსთან მებრძოლთა რიგებს. ამ მიზნით ცნობილმა ტოპ-მოდელმა მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო მიღებაში, რომელიც ორგანიზებული იქნა მკერდის კიბოსთან ბრძოლის ეროვნული კოალიციის მიერ ნიუ-იორკის ფეშენებელურ სასტუმრო „პიერ ჰოტელ"-ში. სუპერმდიდარმა კლაუდიამ არც აქ გამოიჩინა სიძუნწე და ისევე როგორც სხვა მოწვეულებმა, მოსაწვევ ბარათში ათასი დოლარი გადაიხადა.

# საქართველოს პირველი საგაზაფხულო ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში 10 ტურად

## გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

## მეექვსე ტური — 21–27 აპრილი

## 100 სიტყვა

**თარაზულად:** 12. ავტორი პიესისა „ჰინჰრაქა“; 13. ავტორი პიესისა „კიკვიძე“; 14. ნორვეგიელი „ქალბატონი“; 16. სურნელოვანი საკმაზი ბალახი; 17. დაღესტნის ისტორიული აული, შამილის სამშობლო; 18. „გველის მჭამელის“ პერსონაჟი; 19. იტალიის საინფორმაციო სააგენტო. 21. სიმებიან საკრავზე დამკვრელი; 22. იტალიური ფეხბურთის დაცვითი ტაქტიკა. 23. ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი ორგანო. 26. სკანდინავიური მითოლოგიის უზენაესი ღვთაება; 27. ხორვატი ფეხბურთელი; 29. თბილისის შსს ბეჭვდითი ორგანო; 31. ინგლისელი მწერალი; 34. იუგოსლავიის პარლამენტი; 35. უმაღლესი საეკლესიო ინსტანციების მიერ დადგენილი მოძღვრება; 37. დედამიწის ბინადარი; 40. ქოსა — გამსახურდიას შემოქმედებიდან; 41. იტალიელი ფერმწერი, 1472-1517 წწ; 42. ყრმა ზევსის მაწოვებელი თხა; 46. სისხლისმწოველი აფრიკული მწერი; 47. „დედა ენის“ პერსონაჟი. 48. ჩეხოვის „თოლიას“ პერსონაჟი; 50. ტურგენევის მოთხრობა. 51. გასული საუკუნის უძლიერესი ამერიკელი მოჭადრაკე; 52. იტალიელი „ბატონი“; 53. პრესის მუშაკი; 57. ქართველი კომპოზიტორი, გია... 60. ლეგენდარული ესპანელი მეკარე; 61. იაპონური ავტომობილი; 64. შოტლანდიელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის“ ლაურეატი; 65. აღმოსავლური ძღვენი; 66. განუხორციელებელი ოცნება; 67. პერსონაჟი პიესისა „სანამ ურემი გადაბრუნდება“; 70. ზამთრის „ინვენტარი“; 71. „ჩხიკვთა ქორწილის“ პერსონაჟი; 72. რა არის „ოქროს არწივი“; 74. რა ერქვა 1966 წ. საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის თილისმას, ლომის ბოკვერს? 76. გალაკტიონის „მეგობარი“; 78. როგორი ცხოვრება ჰქონდათ რუსთველის პერსონაჟებს? 80. პაკისტანის სახელმწიფო ენა; 82. ყოველი ძაფის პოტენციური პოზიცია; 84. ავტორი რომანისა „მთვარის სპეკალი“; 85. პარკოსანი მცენარე; 86. სერგო ზაქარიაძის ერთ-ერთი კინოპროფესია. 90. რა სჭირდება ტრანსპორტს? 92. ლათ. ამერიკის ისტორიული ოლქი; 94. მსოფლიოს ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ცენტრი; 96. სიმებიანი მუს. ინსტურმენტი; 97. აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 98. საპარლამენტო „პროფესია“; 99. იგივეა, რაც საკვამური.



**შვეულად:** 1. 60-იანი წლების დაღესტნელი მოჭიდავე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში; 2. უფერო გაზი, მიიღება ნავთობპროდუქტების დეჰიდროგენიზაციით; 3. „ანტიგონეს“ პერსონაჟი, სერგო ზაქარიაძის შესრულებით; 4. აღმოსავლელი პოეტი-მუსიკოსი; 5. რომან „დავით აღმაშენებლის“ პერსონაჟი; 6. უძლიერესი გერმანელი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ახლო წარსულში; 7. ტოპონიმი „შუშანიკის წამებიდან“; 8. ამერიკელი ბადროსმტყორცნელი, ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი; 9. სირიის პრეზიდენტი; 10. ბელადის ქალაქი; 11. ავტორი რომანისა „აღმოსავლეთის ექსპრესი“; 15. შუა სს. უდიდესი სპარსელი პოეტი; 20. აზერბაიჯანელი კომუნისტი-რევოლუციონერი (თანაც მწერალი). 24. სანკტ-პეტერბურგელი მომღერალი-ბარდი. 25. ფრანგული ესტრადის ლეგენდა. 28. კაცობრიობის უდიდესი მეზღაპრე. 30. რა ერქვა სომეხ პოეტს, ჩარენცს? 32. რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი; 33. მე-20 ს. სომეხი მწერალი, გარეგინი... 36. შექსპირისეული პერსონაჟი; 38. არგენტინელი ფებურთელი, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი; 39. ცურვის სტილი; 43. პარიზის 1382 წლის სახალხო აჯანყების მონაწილის განზოგადოებული სახელი; 44. ხელყუმბარის ამფეთქებელი მოწყობილობა; 45. ქართველი პოეტი; 49. თარგმნეთ ფრანგულად — „კიოლნის წყალი“; 54. თელავის თეატრის ცნობილი თანამედროვე მსახიობი; 55. აღმოსავლური გარდერობის სპეციფიური სამოსი; 56. ფიგურის გამოსახვა პერსპექტივაში, როგორც ფერწერული ხერხი; 58. რუსი ძალოსანი და მწერალი; 59. ტიბეტის ავტ. რაიონის ადმ. ცენტრი; 62. გენიალური ესპანელი გიტარისტი; 63. ჩრდ. ირლანდიის საფეხბურთო გუნდი, თბილისის „დინამოს“ სკანდალური მეტოქე; 68. უძვ. აღმოსავლური სატრანსპორტო საშუალება; 69. ქალიშვილის ჟარგონული სინონიმი; 73. ვაჟასეული პერსონაჟი; 75. ლიტერატურის არამხატვრულ-ბანალური (არაპოეტური) პასაჟი; 77. მითოლოგიური მეომარი ქალი; 79. 1,09 ჰექტარი ძველ რუსეთში. 81. „კეთილი ადამიანების“ ქალაქი; 83. პირამიდების დარაჯი; 87. ხმელეთის ფაუნისტური ბატონობა; 88. (აბრევიატურა) ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება; 89. პატარძლის მაყარი ქალი; 91. სოფელი ახმეტის რაიონში; 93. დიდი ესპანელი მხატვარი; 94. თანხმობა — ამერიკულად; 95. პარკოსანი მცენარე.

## ჩემპიონატში მონაწილეთა შედეგები 21 აპრილისათვის

| | III ტური ქულა, % | IV ტური ქულა, % | V ტური ქულა, % | კოეფიც. |
|---|---|---|---|---|
| მურთაზ კიკალეიშვილი | 97—97.98 | 100 | 99 | 99.18 |
| იური გაბრიელიძე | 96—96.97 | 99 | 99 | 98.99 |
| ზაალ ზურაბიშვილი | 97—97.98 | 98 | 99 | 98.74 |
| მანანა ბუცულაშვილი | 98—98.99 | 100 | 97 | 98.40 |
| მამუკა ნებიერიძე | 97—97.98 | 98 | 98 | 98.37 |
| ნინო გონაძე | 97—97.98 | 97 | 98 | 97.80 |
| ლევან აგლაძე | 96—96.97 | 96 | 97 | 97.16 |
| ავთანდილ თიკანაშვილი | 94—94.95 | 96 | 99 | 97.16 |
| შოთა ფანჩვიძე | 97—97.98 | 94 | 99 | 96.97 |
| დათო კვირიკაშვილი | 96—96.97 | 96 | 95 | 96.73 |
| გიორგი სალრიშვილი | 92—92.93 | 95 | 95 | 96.37 |
| მერაბ კუტალაძე | 95—95.96 | 92 | 95 | 96.00 |
| გიორგი გიორგაძე | 93—93.94 | 95 | — | 94.80 |
| ნინო გოქაძე | 91—91.92 | 92 | 95 | 93.80 |
| ვასილ ლომუაშვილი | 92—92.93 | 93 | — | 93.65 |
| გია მეტრეველი | 82—82.83 | 90 | 96 | 89.61 |
| **2 — 3 ტური** | | | | |
| არკადი ქურჩიშვილი | — | — | 99 | 98.60 |
| გიორგი ერიქაშვილი | 97—97.98 | — | 97 | 98.01 |
| ზურა სესიტაშვილი | — | 95 | — | 97.50 |
| გიორგი ვეკუა | 95—95.96 | 96 | — | 97.00 |
| კახა კვინიხიძე | 94—94.95 | 98 | 98 | 96.98 |
| მარინე ხაჩირაშვილი | 94—94.95 | 98 | 99 | 96.59 |
| თეა ხუციშვილი | — | 96 | 96 | 96.00 |
| ლერი თოფჩიშვილი | — | — | 96 | 94.73 |
| სალომე სალუქვაძე | 97—97.98 | — | — | 94.53 |
| მაია გეგია | — | 90 | 98 | 94.00 |
| ვლადიმერ რევაზიშვილი | 91—91.92 | 93 | — | 92.46 |
| კახა ნადირაძე | 91—91.92 | — | — | 91.92 |
| ნათია ელოშვილი | — | — | 92 | 91.21 |
| ვაჟა ტაბატაძე | 86—86.87 | 72 | — | 85.67 |
| **1 ტური** | | | | |
| გურიელი შელია | — | — | 97 | 97 |
| ნია ბალდავაძე | — | — | 96 | 96 |
| მახარე შავლოხაშვილი | — | — | 93 | 93 |
| ოტია გიორგაძე | — | — | 89 | 89 |

**ჩემპიონატის მე-7 ტურის კროსვორდი გამოქვეყნდება 5 მაისის ნომერში**

### მესამე ტურის საკონკურსო კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. პანათინაიკოსი; 12. მირანდოლინა; 13. რუმენიგე; 14. ფილა; 15. უნამუნო; 17. ილინსკი; 18. ფირცხალავა; 19. კარნე; 21. ბუკოლიკა; 22. ბილინგვა; 23. ჯიზია; 26. პეტიპა; 28. გოთიკა; 29. იტინომია; 32. ინფინიტივი; 33. ფილანთროპია; 36. შირეა; 37. ქურთუკი; 38. კრავეიშვილი; 39. ჭილობი; 40. პიანო; 41. ლასკერი; 42. ედერი; 44. ხიხონი; 46. ნინევია; 47. მილი; 49. ბემბი; 52. ადონისი; 54. სეიკო; 55. ტიმირიაზევი; 57. ანაშა; 58. კუშტი; 59. ბერიკონი; 60. ესკადრა; 63. ინერტული; 64. ჩიკოტელა; 66; ხლამფორთი; 68. მუხტი; 69. ომონია; 71. ჩაჩი; 72. სარე; 73. ვარცლი; 76. ნიაზი; 77. აბაი; 78. კულტურა; 80. ლესოთო; 81. ცაცია; 83. არქაიზმი; 85. ვანცეტი; 87. კრიზისი; 88. ატრია; 89. ჰანოი; 90. აქტი; 91. ყია;

**შვეულად:** 1. მიუნჰაუზენი; 2. ტაიმანოვი; 3. ადანი; 4. სოლოლაკი; 5. ბირუნი; 6. პარაკლისი; 7. ნემო; 8. თენსინგი (ტენცინგი) 9. ნეგოციანტი; 10. კაფელნიკოვი; 11. სოლოვეი; 16. მარჯანიშვილი; 20. მიზანთროპია; 24. არაყანი; 25. კომპლიმენტი; 27. პანტელეიმონი; 29 ინოკენტი; 30. მირგოროდი; 31. პრიშვინი; 33. ფაკელი; 34. ლუარსაბი; 35. აქილევსი; 43. რიურიკი; 44. ხიდი; 45. ხანუმა; 47. მაზლი; 48. ლავრენტი; 50. ეკატერინე; 51. ბაუნტი; 53. სპერმატოზოიდი; 54. სიკეროსი; 55. ტაბლიაშვილი; 56. მირაბო; 61. კულმინაცია; 62. მუხამბაზი; 64. ჩიჩიკოვი; 65. კაჩალიბი; 67. რაციონი; 70. მალარია; 74. რასტრი; 75. შუკერი; 79. საკო; 82. ცერი; 84. მკა; 86. ასო.

## საპრემიო კროსვორდი

**გთავაზობთ საპრემიო კროსვორდს; აქ სწორად ამოცნობილი ყოველი სიტყვა (ქულა) პირდაპირ დაემატება კოეფიციენტს. ეს არის შანსი კოეფიციენტის გაზრდისა.**



1. მუსიკოსი, რომლის გვარში ოთხივე ნოტი დამახინჯებულია;
2. პოლიტიკის „ქარვის ლედი“;
3. თარგმნეთ ტაჯიკურად — „ორშაბათი“;
4. პოლიტიკოსი, რომლის გვარში ორი სწორი და ორი დამახინჯებული ნოტია.

*საპრემიო კროსვორდის პასუხები მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შევსებულია მთავარი კროსვორდი.*

**საპრემიო კროსვორდის შევსება სავალდებულო არ არის**

**მეექვსე ტურის პასუხები წარმოადგინეთ 27 აპრილის 12 საათამდე**

### მონაწილის სავიზიტო ბარათი

გვარი ____________________

სახელი ____________________

მისამართი ____________________

ტელეფონი ____________________

# კროს-ფანტაზია

## 80 000 კილომეტრი... კროსვორდის თანხლებით

### მე-9 გაჩერება — საფრანგეთი




**თარაზულად:** 6. მსახიობის მოწვევა გარკვეული ვადით; 7. რა ერქვა „კარმენის“ ავტორს? 8. ფრანგი პოეტი — რომანტიკოსი; 13. მე-19-20 ს. ფრანგი პოეტი; 14. ბრძოლის დაგეგმვის „მეცნიერება“; 16. ფრანგული ავტომობილი; 17. სპეციფიური პოლონურ-ჩეხური (სლავური?) მამაკაცის სახელი; 18. უშფოთველი ყოფა; 19. რიგ მეცნიერებათა „ცხოველური“ წინსართი; 20. ქალაქი საფრანგეთში; 21. ვინ იყო „პროფესიით“ ჟან ანუი; 23. რა ერქვა ფრანგების მტერ ბისმარკს? 25. როგორი ვითარება იყო 1889-94 წლების საფრანგეთში; 28. რუსი კინორეჟისორი; 30. ფრანგი კინომსახიობი ქალი; 31. ფრანგი კომპოზიტორი; 32. მოქმედი ვულკანი ფილიპინებზე; 36. ფრანგი ჟურნალისტი, ავტორი ევროტურნირების შექმნის იდეისა; 37. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 38. „ქაცვია“ არსება (ერთი საბავშვო ლექსიდან); 40. საფრანგეთის ისტ. ოლქი; 41. ფრანგი გამომგონებლების მიერ შემქნილი შენადნობი; 42. უძველესი ევროპული ქალაქი.

**შვეულად:** 1. თეატრის მეპატრონე; 2. ფრანგული რევოლუციური სიმღერა; 3. ჩრდ. კავკასიის (მინერალური) კურორტი; 4. ნიადაგის ჰიდროლოგიური გაუმჯობესების ღონისძიებათა ერთობლიობა; 5. ფრანგი მწერალი, ანდრე...(აბა, ანდუყაფარი ხომ არ იქნება?!); 9. სტუდენტის „დღიური“; 10. საფრანგეთის ქალაქი-პორტი; 11. (მომავალი ნომრიდან) ესპანეთის ავიაკომპანია; 12. იგივეა, რაც უპირატესობა (სპორტში); 15. „სნიკერსის“ ხე; 22. იგივეა, რაც „დახვეწილი“; 24. იგივეა, რაც „აყალმაყალი“; 26. წიგნის ერთეული; 27. სისხლძარღვთა სიმსივნური დაავადება; 29. მე-19 ს. ფრანგი პოეტი, პიერ ჟან... 32. ქალაქი აშშ-ში 33. „შაგრენის ტყავის“ ავტორის სახელი; 35. რა მოეწონა თბილისში ყოფნისას ალექსანდრე დიუმას? 34. იგივეა, რაც უვიცი; 39. ერთი კათოლიკური სადიდებელის წინსართი.

# მალულა

?! ?!

## პრიზი 10 ლარი



### თუ გსურთ მიიღოთ 10 ლარი, შეავსეთ კროსვორდი და ამოიცანით ვინ იმალება ჩარჩოს მიღმა



გასულ ნომერში „იმალებოდა“ ლეონიდ ბრონევოი (მიულერი)

სწორი პასუხი და შევსებული კროსვორდი პირველმა მოიტანა ბატონმა გივი ჟორდანიამ

**თარაზულად:** 9. პატივისცემა, თავაზი; 10. კაიფვორდის პრინციპით: ფსიქოლოგთა წყვილი (რუს. კავშ.); 12. მე-19-20 სს. სომეხი კომპოზიტორი; 13. დაღესტნის სოფელი, სადაც გურამიშვილი იმყოფებოდა ტყვეობაში; 15. როგორი პირია (თუნდაც) პრეზიდენტი? 16. საშუალო სიმაღლის ხე; 17. (მისტერ) ჩარლზი; 21. მე-19 ს. გერმანელი ისტორიკოსი; 22. „გეორგიევსკელი“ ჭავჭავაძე; 24. ძვ. ქართულად — ჩრდილი; 25. დადგენილ-ნორმირებულ-შაბლონური; 26. ერთი „იაპონიზირებული“ ოპერის სახელის გაორმაგებული ერთეული; 29. ძველინგლისური მონეტა; 30. მერკურიც და კრუგერიც; 31. რა ჰქონდათ საერთო რომსა და მოსკოვს? 34. ჩეხეთის ნაკრების მეკარე; 35. რა აქვთ საერთო ჩეხეთს და შვედეთს? 36. ვინ იყო ფილოსოფოსი — დუალისტი? 40. ვინ არ ელოდებოდა (... თან ელოდებოდა) ქიტესას? 41. რა აქვთ საამაყო სომხებს? 43. ქვეყანა ვესტ-ინდოეთში, საფრანგეთის სამფლობელო; 44. ვინ *იდგნენ ერთ დროს ავლაბარში? (მრ. რ).

**შვეულად:** 1. ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა; 2. „ფრანგული“ სათბური; 3. „ფილოსოფიური“ ჭურჭელი — ბინა; 4. კლდეკარის ერისთავთა გვარი; 5. ემელიანე პუგაჩოვის თანამებრძოლი; 6. უხეში, ტლანქი და ა. შ. 7. უძლიერესი რუსი ძალოსანი ახლო წარსულში; 8. ფილმი ჯეკ ნიკოლსონისა და მიშელ პფაიფერის მონაწილეობით; 11. უცხო ქვეყანაში მივლინებული პირი; 14. ძვ. ბერძნული მითოლოგიის გიგანტი; 18. საქართველოს „მაღალციხიანი“ სოფელი; 19. მცენარის ქსოვილი, რომელიც ატარებს წყალს ფესვიდან ფოთლამდე; 20. მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებები (მრ. რ.); 23. საფოსტო გზავნილი; 27. მოცემული პოპულაციის გენთა ერთობლიობა; 28. როგორი მოვლენაა (ვთქვათ) კორუფცია? 32. ვინ არის მოშიაშვილი? 33. მომკილი თავთავის კონა; 37. მოტკბო ნაყოფის მქონე ბუჩქი; 38. სამხრ. აფრიკის სახალხო ორგანიზაცია (აბრევიატურა); 39. ქამუშაძეების რძალი... 42. ქართული ანბანის ასო.

### გასული ნომრის პასუხები (გერმანია)

**თარაზულად:** 6. ბრაუნშვაიგი; 7. უზურპატორი; 8. სატელიტი; 12. ბელადი; 13. ოპოზიციონერი; 14. მილიტარიზაცია; 16. გრუშე; 18. გერინგი; 21. ობლიგაცია; 24. პეტერბურგი; 26. მიუნჰენი; 28. ტიკი; 29. რაინდი; 30. ვაგნერი; 32. იალტა; 33. ტალკვესი; 35. ბორმანი; 36. ფირალი.

**შვეულად:** 1. დრეზდენი; 2. აუერმანი; 3. იშხანი; 4. პათოლოგია; 5. აგრიკოლა; 8. სპირიტიზმი; 9. ტრიო; 10. ლენარდი; 11. ტარაში; 15. აუგსბურგი; 17. რატუშა; 19. ესენი; 20. იმედი; 22. კრეისლერი; 23. ანტრესოლი; 25. იუდეა; 27. ჰანოვერი; 31. ატრია; 34. ლაფი;

# ფანტაზიის ზღვარზე

## (კომპიუტერული სასწაულები)

როგორი ვიქნებით ოციოდე წლის შემდეგ? რა შეიცვლება ჩვენს გარეგნობაში? მსგავსი კითხვები, ალბათ, ყოველ ჩვენთაგანს მოსვლია თავში და ცოტანი თუ წარმოიდგენდნენ, რომ ამ ოცნების ახრულება XX საუკუნის ბოლოსათვის სრულიად მარტივი იქნებოდა. ამბავი ცოტა შორიდან დავიწყოთ.

ამერიკელი მხატვრები ლუის სედლესი და სკოტ ბერლუიზი ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამედიცინო გამოცემებში მუშაობდნენ. პარალელურად იკვლევდნენ ადამიანის დაბერების კანონზომიერებებს, დინამიკას. მათი საქმიანობის შესახებ, ალბათ, კარგა დიდხანს არც არავის ეცოდინებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა: ერთხელ მათ მიაკითხეს პოლიციელებმა და სთხოვეს 8 წლის წინ დაკარგული ორი გოგონას თანამედროვე სურათები დაეხატათ.

სახის ძვლები ასაკთან ერთად კანონზომიერად იცვლება. მაგ: ცხვირის ძვალი იზრდება და თვალის ღრმულებს აქეთ-იქით წევს. მსუქან ადამიანებს სახის კუნთები თანდათან ჩამოეკიდებათ, ტუჩის კუთხეები დაბლა იწევენ; ამ და სხვა მონაცემების გათვალისწინებით სედლერმა და ბერლუიზმა გამოითვალეს თავის ქალის ცვლილების 39 პარამეტრი და შეადგინეს დაკარგული გოგონების რვა წლის შედმგომდროინდელი პორტრეტები.

პორტრეტები აჩვენეს ამერიკის ტელევიზიით და, თქვენ წარმოიდგინეთ, სეანსის დამთავრებიდან ოცი წუთის შემდეგ ისინი იპოვეს. მხატვრებს უამრავი შეკვეთა მოაწყდა, მათი რიცხვი 7000-მდე ავიდა. ამდენი შეკვეთის შესრულება შეუძლებელი იყო და მათ გადაწყვიტეს, საქმეში კომპიუტერი ჩერთოთ...

დაამუშავეს პროგრამა, რომელსაც 20 წუთის შემდეგ შეეძლო უფრო მიახლოებული და ხარისხიანი პორტრეტი შეექმნა.

სედლესის და ბერლუიზის გამოგონება სხვა სფეროშიც გამოიყენეს. გაიხსენეთ ფილმები: „ათი წლის შემდეგ“, „ოცი წლის შემდეგ“ და სხვა. თუ მსახიობები ცოცხლები დარჩებიან და ითამაშებენ ოცი წლის შემდეგაც, ხომ კარგი და თუ არა, მაშინ... კომპიუტერს შეუძლია შექმნას კინოგმირის პორტრეტი წლების შემდეგ და მოხსნას მსგავსი პრობლემები.

შეიძლება უკუღმაც, გმირის ახალგაზრდობისდროინდელი სახის შექმნა რამდენიმე წუთის საქმეა.

თანდათან ცოცხალ კინომსახიობთა საჭიროებაც აღარ იქნება. ვის შეუძლია მათი პრეტენზიების, კაპრიზების, პირობების ატანა, კომპიუტერული „კინოვარსკვლავი“ კი ზის თავისთვის კომპიუტერში და ელოდება, როდის აამოძრავებენ. არც როლებს იწუნებს და შეუძლია დღე-ღამეში 24 ან 48(?!) საათი იმუშაოს.

კინემატოგრაფიაში არის სხვა პრობლემებიც — ესაა ისტორიული პიროვნებები. ყველა მათგანს პორტრეტი არ მოღწეულა ჩვენამდე და რაც გაგვაჩნია, ისიც საეჭვოა.

ჯერ კიდევ 40-იან წლებში პროფესორმა გერასიმოვმა შეიმუშავა თავის ქალიდან სახის აღდგენის მეთოდიკა და შეძლო შემორჩენილი სახის ძვლებზე ადამიანის სახე გაეცოცხლებინა (ცხადია, თუკი თავის ქალა ჩაუვარდებოდა ხელში). ასე აღადგინა მან უძველესი თუ არც თუ ისე ძველი ადამიანების პირველსახე. ეს უაღრესად მძიმე შრომა იყო, დღეს კი კომპიუტერი ამ ამოცანას თავს რამდენიმე წუთში ართმევს.

კიდევ სხვა რა შეუძლია კომპიუტერს? მას შეუძლია მწერლის ფანტაზიით შექმნილი გმირის სახე დაგვიხატოს ეკრანზე, ჩაიწეროს მისი სახე სხვადასხვა რაკურსში და აამოძრაოს, გააცოცხლოს.

საინტერესოა, სად გადის კომპიუტერის შესაძლებლობათა ზღვარი...

**გთავაზობთ კომპიუტერული პორტრეტის მარტივ ნიმუშს: ბილ კლინტონი**



# მაყურებელთა (გინეკოლოგიური) განცდები

**ჩვენი გაზეთი მოგეხსენებათ (ორიოდე სხვა გაზეთთან ერთად)კასანდრას შესახებ ინფორმაციას აგროვებს და, რაღაც რეპორტაჟების მსგავსად, ავრცელებს დაინტერესებული მკითხველი-მაყურებლისათვის. ამიტომაა, ალბათ, რომ ის დაინტერესებული პირები ჩვენთან მოდიან და ნაირგვარი ნამდვილი თუ თავშესაქცევი ინფორმაცია მოაქვთ. ასე რომ, ამ ერთი გასული თვის განმავლობაში მკითხველთა გამოხმაურების გარკვეული რაოდენობა დაგვიგროვდა. ახლა შევეცდებით ჩვენი ფოსტა მიმოვიხილოთ.**

## ყველაფერი იუმორით იწყება

ერთმა ჩვენმა მკითხველმა ანეკდოტების კონკურსზე ასეთი ნიმუში წარმოადგინა:

,,ჩარი მოკვდაო'' — უთხრეს ერთ ძველთბილისელს.

,,მაგის დარდი ნუ გაქვს, იაქის კარზე გავაცოცხლებო'' — უპასუხა და კამათელი გააგორა.

ბატონმა გ.ბ-მ კი რედაქციაში ასეთი ამბავი მოგვიტანა: ,,ერთ ოჯახს ოთხი ქალიშვილი ჰყოლია — მარიანა, მარია, როზა და მონიკა... ახლა ცოლი მეხუთე ბავშვზეა ფეხმძიმედ და ქმარს უთხოვია — ქალო, იქნება ძალიანა სცადო და კასანდრა კი არა, იგნასიო გააჩინოო?!''

*რედაქციაც უსურვებს იმ ბატონს ,,იგნასიოს'' ყოლას და კვლავაც განაგრძობს ,,კასანდრას'' შესახებ არსებული ანეკდოტების შეგროვებას. ჩვენი აზრით, მოხდენილი იუმორი ბევრად უფრო მარგებელია, ვიდრე ნაირგვარი იდეოლოგიის ნათხზავების შემეცნება.*

## პრობლემა

გასულ ნომერში ერთი უნებლიე შეცდომა მოგვივიდა და იმ ჩვენს ნაცნობ ექიმს რობერტოს ნაცვლად ალბერტო ვუწოდეთ. ეს ისეთივე ამბავია — შალიკოს რომ ვალიკო დაუძახო, მაგრამ, ალბათ, ამას არც აქვს პრინციპული მნიშვნელობა არაპრინციპულ საზოგადოებაში. თუმცა ერთი ინკოგნიტო მკითხველი შეგვეხმიანა და დაგვტუქსა — ეს ჩემი საყვარელი პერსონაჟია და როგორ გაბედეთ სახელის შეცვლაო?! აი, ,,უკაცრავად-მეთქი'', აი, ,,ბოდიში-მეთქი'', ,,გვაპატიეთ-მეთქი'', მაგრამ არ იქნა და არ დაცხრა ის ქალბატონი და თურმე იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ე. წ. ,,საპასპორტო მაგიდის'' თანამშრომელი ყოფილა, ამგვარი ლაფსუსები თურმე მისი პროფესიონალური თვალთახედვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა, თუმცა, როგორც დადგინდა, ეს ქალბატონი ახლა უმუშევარია და იმისთვის, რომ თავისი პროფესიონალიზმი არ დაკარგოს, ,,პრაქტიკა'' ჩვენზე გაიარა.

*ახლა თავად განსაჯეთ — აქ პრობლემა რა არის: პროფესიონალიზმს შენარჩუნება თუ ,,მახათის'' ან სამახათეს არქონა?!*

## რედაქციის «პრობლემა»

გაიგო რა, რომ კასანდრა ფეხმძიმედაა და ბავშვის მოშორება სურს ახლომახლო მოსიარულე ,,მოხალისე'' გინეკოლოგებისაგან თვითდინებით წამოსული ინფორმაციით იმაში გათვითცნობიერდა, თუ როგორ შეიძლება არასასურველი ფეხმძიმობის დროზე ადრე შეწყვეტა, გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს:

1) არყით სავსე ჭიქის გამოცლა (უზმოზე) მესამე დღეს (?!)

2) ღობეზე გადახტომა (გაიხსენეთ როგორ ,,სლამალსია მალჩიკ'' ,,ძველ ვოდევილებში'')

3) იმ ინსტრუმენტის შელოცვა, რითაც აქტი შესრულდა და ბოლოს:

4) ცივილიზებული წესით აბორტმახერთან წასვლა...

ამ უკანასკნელ რჩევას ჩვენმა მკითხველმა ლ. ე-მ კასანდრას მიმართ თქმული ლექსიც დაურთო:

ერთი ღამის ,,სიყვარული''
რომ დაგიჯდა ფასადა,
რომ გაგიჩნდა პრობლემები
ერთი — ათი — ასადა,
შენს სხეულში პაწაწინა
არსება რომ ჩასახლდა,
რა ქნას იმან?!
— უნდა მოკვდეს,
თუ იცოცხლოს...
კასანდრა?

## ტელესიყვარული

ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში ორმოციოდე წლის კაცი გვეწვია და მოგვთხოვა — კასანდრას ყველა ფოტო მომეცითო. შევატყვეთ რა, რომ იგი კონკურენტი გაზეთებიდან მოგზავნილი არ იყო, გადავეცით მას ჩვენს ხელთ არსებული ყველა ვიზუალური მასალა; მან მადლობაც კი არ განგვიცხადა და კარი გაიხურა. ორიოდე დღეში იმავე პიროვნებამ ასეთი ,,თხზულება'' მოგვართვა:

,,კასანდრა ჩემი ოცნების ქალია. მე ის ძაან მიყვარს; ძაან მეწყინა, რომ ის იმ ნაბიჭვარი იგნასიოსგან ფეხმძიმედ არის, მაგრამ ეჭვი მაქ, რომ ის გაიძვერა ექიმი (თქვენ გაზეთში როგორც წერია) იტყუება. იმიტომ, რომ ანდრეინასნაირი ავანტყოფობისგან თვითონ უნდა გადაარჩინოს და მერე ქალიშვილი ქალი ჩაიგდოს ხელში. ეს ლუის დავიდმა არ იცის და ჰგონია, რომ იგნასიო კასანდრას არ მიკარებია და იმ ღამეს პლიაჟზე ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა. მე კასანდრას სურათები ბევრჯელ დავათვალიერე და მას ორსულობის ნიშნები ვერ შევატყე, ამიტომ ვთხოვ თქვენ რედაქციას, რომ დამაკავშიროს ვენესუელასთან, თანაც დროზე უნდა დამაკავშიროს, რო კასანდრა გადავარჩინო'' და ა. შ.

*რედაქციამ კი იმ ბატონის ვიზუალური დათვალიერებით დაადგინა, რომ მას კასანდრა უყვარს, ხოლო გონიერებასთან მისი შორიახლოობის განსაზღვრა თქვენს სამსჯავროზე გამოგვიტანია.*

## კასანდრას პორტრეტი

ჩვენს ქალაქში თურმე მრავლადაა ისეთი პიროვნება, რომლებსაც ,,ფანტაზიის'' რედაქტორის მსგავსად ,,უჭრის'' კალამი, ანუ შეუძლია ტელეპერსონაჟის დახასიათება.

ვითომ რატომაც არა?!

თუკი ის იყო შესაძლებელი, რომ იდეოლოგიურად მოქოქილ-მომართული მასწავლებლების ძალდატანებით კომუნიზმის აღმშენებელი გმირების შესახებ ე. წ. ,,თემები'' გვეწერა, ნუთუ მკრეხელობაა, ,,ფანტაზიის'' რედაქტორის მოქოქვით ვინმე კასანდრას (შედარებით თუ შეუდარებელ) დახასიათების დაწერა?! აი, მაგალითი 25 წლის დათოს შემოქმედებიდან (... სადაც აშკარად იგრძნობა ,,ფანტაზიის'' სტილი):



,,კასანდრა კარგი გოგო მეგონა და აღმოჩნდა, რომ იგი (ერთობ!) უხამსი პიროვნებაა.

რატომ? — აი, რატომ:

ეს ქალი თავის გიტარისებრ სხეულს და გაწკრიალებულ პირისახეს ბოროტად იყენებს. მისი ერთადერთი მიზანი, არა, მიზანი კი არა გართობა ისაა, რომ მორიგი მამაკაცი მოხიბლოს, თავი შეაყვაროს და მერე მიატოვოს. მიატოვოს და მისი ტანჯვის ყურებით გაერთოს. აბა, ჩამოვთვალოთ, რა უბედურია ყველა ის მამაკაცი, ვინც მის სიახლოვეს ყოფილა:

— იგნასიო მოკლეს.

— რანდუმ კინაღამ თავი მოიკლა.

— ტობიასი უმუშევარი დარჩა.

— მანრიკეს თავისი კარიერა დაავიწყდა.

— ლუის დავიდს კი რა ელის, კაცმა არ იცის.

ეს ქალბატონი კასანდრა ახლა შვილს ელოდება და, ეგებ იმ ბავშვის ,,ყოფნა-არყოფნის'' პრობლემის გადაწყვეტისას თავის ალალ დეიდას ექიმი საქმროც კი წაართვას; არა, კი არ წაართვას, არამედ მოხიბლოს, გააგიჟოს და მერე უთხრას, — ,,წადი, წადი, გზებიც დამილოცნია, დაივიწყე, რაც შენთვის მიკოცნიაო!..''

სტილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ყოველ ადამიანს უფლება რომ გააჩნია საკუთარი აზრის ქონისა, ეს დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპია!

## გარე ვაჭრობა

,,თუ ჩაგივლიათ სირაჯხანისკენ...'' — თქვა იოსებ გრიშაშვილმა.

თუ ჩაგივლიათ ბაზრობისაკენ — გკითხებათ ,,ფანტაზია'' — და ,,დაჰკვირვებიხართ ამ ქუჩებს კარგად'', არ შეიძლება არ მოგესმინათ კასანდრას (ყოფილი) თანამემამულეების, თბილისელი ბოშა-ქალების შეძახილები:

,,კასანდრა, კასანდრა... კალგოტკა კასანდრაო...''

ეს ამბავი ერთმა ჩვენმა ახლობელმაც შეგვახსენა და გაკვირვებით დაურთო:

დღეს ერთი ბოშა გაიძახოდა — ,,კასანდრა, კასანდრა... ბერემენნაია კასანდრაო''.

ჩვენ შევეცადეთ დაგვეცხრო იმ ჩვენი ახლობლის გაკვირვება და აწ უკვე ჩვენის მხრივ შევახსენეთ, რომ დადგენილება გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ წარმატებით სრულდება და ვერანაირი ,,ბერემენნაია ციგანკა'' ამას წინ ვერ აღუდგება.

სხვათა შორის, მალე იმ ,,პეჩენიის'' გაყიდვაც აიკრძალება, რომელსაც თურქებმა რატომღაც კასანდრა დაარქვეს.

**P.S.** *აღნიშნული ფაქტებიდან თუკი რამ საინტერესო და თავშესაქცევი აღმოჩნდა თქვენთვის, ჩვენ ძალზედ მოხარულნი ვიქნებით. საერთოდ კი, გამგებმა უნდა გაიგოს...*

## ბუმი ნაჩქარევი აღმოჩნდა

შარშანდელი შემოდგომა ხომ გახსოვთ, როცა ხუანი ისე ბატონობდა საქართველოში, როგორც ალი-ბაბა ორმოც ყაჩაღში?! ჰოდა, ისიც გეხსომებათ, რომ მაშინ ,,ხუანიადის'' გამოისობით იმდენი გაზეთი გამოიყარა ჩვენში, რომ, ალი-ბაბასი რა მოგახსენოთ და, მკითხველის ინფორმაციული დაყაჩაღება ნამდვილად იყო. მივიღეთ რა შარშანდელი გამოცდილება მხედველობაში და შევიტყვეთ რა, რომ იანვარში ახალი სერიალი უნდა დაწყებულიყო, ჩვენც ყოჩაღად მოვიქეცით და საკასანდრო ბუმისათვის აქტიური მზადება დავიწყეთ? ჩვენი ვარაუდით, ამგვარი რამ ივნის-აგვისტოში უნდა აგორებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სურვილის მქონენი მხოლოდ ჩვენ არ ვიყავით და უკვე მარტის დასაწყისში იფეთქა: — ,,კასანდრას'' საგაზეთო ეპიდემიამ. აქ, გასაგებია, რომ ერთი პრინციპი ამოქმედდა, ანუ ის, რომ ,,ამქვეყნად ყველაფერი დასწრებაზეა'' და ჩვენც იძულებულნი გავხდით მზადება შეგვეწყვიტა და ,,დასწრებაში'' ჩავრეულიყავით...

მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ეს ხელოვნური ბუმი აღმოჩნდა, რადგან აქ ამუშავდა არა ფილმის შინაარსობლივ-კულმინაციური, არამედ პრესის კონკურენციულ-კომერციული ფაქტორი.

ამიტომაც ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ სერიალის მომავალი ,,ქარტეხილებიდან'' გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრის დაძაბულობა ზაფხულის ბოლოსაა მოსალოდნელი (ხომ არ გავიწყდებათ, რომ ჯერ სულ რაღაც ორმოცდათოთხმეტი სერია ვნახეთ). მანამდე კი შევეცდებით ,,კასანდრას'' თემაზე შექმნილი ნაირგვარი ვარიაციებით მივიპყროთ თქვენი ყურადღება და ისევ მზადების აქტიურ, მაგრამ არალეგალურ ფორმაზე გადავიდეთ.

მთხრობელი



**P.S.** *დღევანდელ ეპოქაში ვენესუელასთან კავშირის დამყარება არც ისე ძნელი რამ არის, თუ ადამიანს ხელთ აქვს გარკვეული ოდენობის (დო)ლარი, თუ კარგად უმუშავებს საკომუნიკაციო ტექნიკა და გააჩნია სურვილი. ასე რომ, ,,კასანდრას'' ბუმი წინ გვიძევს და ვეცდებით შესაფერისი ინფორმაცია მოგაწოდოთ.*

## ანონსი

1) ხომ გახსოვთ იგავი ,,მგელი და კრავის'' შესახებ? იქ, როგორც იცით, საბრალო კრავს პირსისხლიანი მგელი შეჭამს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კარგ მსახიობს შეუძლია ისე წაიკითხოს ის იგავი, რომ ტექსტის შეუცვლელად მსმენელი კრავის თავხედობისა და მგლის სასოწარკვეთილებაში დაარწმუნოს, ანუ შექმნას ანტი იგავი.

ჩვენ კი გვსურს ,,ანტი-კასანდრა'' შევქმნათ, რათა დაგარწმუნოთ, რომ მაცდუნებელნი მამაკაცები კი არა, ქალები... დიახ, დიახ, ქალები არიან!

2) ჩვენი გაზეთის ა. წ. 1-2 ნომერში დავიწყეთ ორიგინალური ქართული სერიალის — ,,სამნი სიყვარულის ნავში'' — ბეჭდვა, რომელიც საგაზეთო ფართის შემცირების გამო შევწყვიტეთ. ჩვენის აზრით, ეს ნაწარმოები იმსახურებს იმას, რომ მისი გამოქვეყნება განვაახლოთ გაზეთის ტევადობის გაზრდისთანავე.

## 3 წლის სოფიკოს ფანტაზიები

,,ველური გულის'' ბუმია.

პაწია სოფიკოს ციცქნა გულიც დაიპყრო ამ ფილმმა.

ერთხელ მასთან სტუმრად ყოფნისას მოვეფერე და ლოყაზე ვეამბორე. სოფომ ტუჩაბუზულმა შემომხედა და მითხრა.

— ბესო ძია, შენ, რა, კოცნა არ იცი?

— როგორ, შვილო... დავიბენი მე.

კოცნა ისე უნდა ბესო ძია, ხუანი რომ კოცნის მონიკასო, სრული სერიოზულობით მითხრა და ტუჩებში ჩამაფრინდა.

მოგვაწოდა ბესიკ კაიშაურმა

## ოსვალდო რიოსის ახალი როლი

ამ ,,კინოდონჟუანს'' აგერ უკვე სამი თვეა ვუყურებთ — და მის შესახებ ნაირგვარ ინფორმაციას ვეცნობით. აი, კიდევ რამდენიმე ფაქტი პუერტორიკოელი მსახიობის ცხოვრებიდან (... და რეპერტუარიდან).

,,კასანდრას'' შემდეგ ოსვალდო რიოსმა რამოდენიმე სერიალში მოასწრო გადაღება. ერთ მათგანში, (სერიალი — ,,სიყვარულის რიტმში'') მან თავისი ამპლუისაგან განსხვავებული როლი ითმაშა; თუ აქამდე იგი შეყვარებულ გმირებს თამაშობდა, ამჯერად ჩამოყალიბებული არამზადას, უფრო სწორად — მწვალებლის, როლი განასახიერა. მართალია, თავიდან მან უარი განაცხადა ასეთი სახის შექმნაზე, რათა თაყვანისმცემელი ქალების სიმპათია არ გაენელებინა, მაგრამ შემდეგ სამსახიობო პატივმოყვარეობამ იმძლავრა და სცადა ყველა დაერწმუნებინა, რომ მის ტალანტს ჩარჩოები არ გააჩნია.



,,სიყვარულის რიტმის'' შემდეგ ოსვალდო რიოსი გადაიღეს ფილმში — ,,ქვრივი ბლანკო'', რომელსაც ახლა ტელეარხი ,,2X2'' აჩვენებს. სხვათა შორის, ოსვალდოს სამსახიობო ავტორიტეტი ისე ამაღლდა, რომ ამ უკანასკნელ ფილზე მუშაობისას მას თვიურად 10 ათას დოლარს უხდიდნენ, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ეს თანხა სასაცილოდ მოეჩვენებოდა ჰოლივუდური ,,სანტა-ბარბარას'' მსახიობებს, რომლებიც 10 ათას დოლარს ერთი სერიის გადაღებისათვის იღებენ.

ახლახანს ოსვალდო რიოსის თაყვანისმცემლები შეაძრწუნა იმ ცნობამ, რომ იგი გადაღებისას გაჭენებული ცხენიდან ჩამოვარდა და ძალზედ დაშავდა. მუხლის ურთულესი ოპერაციის შემდეგ ოსვალდო კვლავ დაუბრუნდა გადასაღებ მოედანს და გასული წლის ბოლოს დაასრულა თავისი როლი ,,ქვრივი ბლანკოს'' 120 სერიაში. არის ინფორმაცი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ რაოდენობას მალე კიდევ 30 სერია დაემატება და ისლა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ფილმს ქართველი მაყურებელიც ნახავს.

# სუპერფანტაზია
# CROSS GALLERY

# ნაცნობი ფრანგები — ნაცნობ გაზეთში















 თარაზულად: 14. რა საწყალოსნო „ინვენტარი“ შექმნა ჟაკ-ივ კუსტომ? 15. ავტორი მოთხრობისა ყველაზე ცნობილი ბოშა ქალის შესახებ. 16. ერთ-ერთი ლიტ. მიმდინარეობა. 17. აზიის სახელმწიფო. 20. ლუდის „სახესხვაობა“. 21. ყველა ეპოქის უდიდესი კომედიოგრაფი. 22. ცალკეული პირი. 23. ფრანგული ფილმის — „ჯადოქარი“ — რუსული პირველწყარო. 25. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება. 26. მე-20 ს. ცნობილი ქართული ლიტერატორი, მთარგმნელი, კრიტიკოსი. 27. რა მოიხსენიება პარიზში სიტყვა „სორბონათი“? 28. მიმართვა ფრანგი დიდებულებისადმი. 31. ...ილის სანა... 32. აღმოსავლური „კოლონა“. 33. ორგანიზმის თვითდამცავი საშუალება. 34. რა არის ის, რამაც ყველაზე „დიდი“ გზის შექმნა განაპირობა? 36. რაიმე... საერთო სახელი. 38. ამერიკელი მწერლის, ძოუს სახელი. 41. მამაკაცის სპეციფიური ფრანგული სახელი (წოდ. ბრ.). 44. ლიტერატურული (გარდამავალი) ჟანრი. 46. ტექსტზე დართული განმარტებანი. 47. ორიგინალის გამეორებული ვარიანტი. 49. ყურძნის ჯიში. 50. რა აერთიანებს მუსლიმანებს და ბუდისტებს? 53. ლიტ. პერსონაჟის რეალური პირველწყარო. 55. ჩინეთის ფულის ერთეული. 57. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 58. პოეტი, ლატვიური ლიტერატურის კლასიკოსი. 60. ქალაქი საფრანგეთში. 62. ფრანგული ფული. 63. *(იხილეთ ფოტო)* გაიხსენეთ ტოპონიმი, საიდანაცაა ის ქოლგები, რომლებსაც ეს მსახიობი „ხმარობს“ ერთ ფილმში. 64. რა გვარია სტალინის ქალიშვილი? 67. ძილის „ინვენტარი“ 70. ფრანგი დიდგვაროვანი ქალი, მარატის მკვლელი. 72. ქიმიური ელემენტი. 73. ევროპის რეგიონი. 75. პოეტური ჟანრი. 77. ქალაქი საფრანგეთში. 79. იგივეა, რაც დანაშაული. 82. ფრანგული „პატივისცემა“. 83. ალფონს დოდეს რომანის მთავარი გმირის სახელი. 84. ფრანგი კინომსახიობი. 85. სახელმწიფო, რომელიც მთლიანად სხვა სახელმწიფოშია მოქცეული. 86. მე-18 ს. ევროპული ხელოვნების სტილური მიმართულება. 87. იგივეა, რაც რაინდი. 88. წინასწარ გაცემული თანხა. 89. მოგზაური და მომლოცველი.

შვეულად: 1. *(იხილეთ ფოტო)* გაიხსენეთ ამ კაცის გვარის ნაწილი. 2. *(იხილეთ ფოტო)* აქაც გვარის ნაწილია გასახსენებელი. 3. „პოეტური ყვავილი“. 4. მე — ლათინურად. 5. გართულებული აპენდიციტი. 6. ფრანგული ავტომობილი. 7. გვადის ლიტ. „მამა“. 8. მოგზაურობა — ტრანსპორტის შეცვლით. 9. მლიქვნელის სინონიმი. 10. რა ერქვა ადრე ქალაქ ანდროპოვს? 11. „პატიების“ სახესხვაობა. 12. კოვბოების სპორტული შეჯიბრი. 13. ქალთა მოძრაობა. 18. გაიხსენეთ ლუი დე ფიუნესის ერთ-ერთი კინოთანამდებობა. 19. *(იხილეთ ფოტო)* ვინ არის ეს ფილოსოფოსი? 24. ტელეთოჯინა. 29. მოჩვენება, ილუზია... 30. დედაქალაქი შუა აზიაში. 32. არეულობა. 35. *(იხილეთ ფოტო)* რა ჰქვია? 36. „რევოლუციონერი“ მწერი ლიტერატურიდან. 37. ლეკთა თავადი. 39. *(იხილეთ ფოტო)* რა ჰქვია? 40. ინგლისელი საზღვაო მხედართმთავარი. 42. „ბინძური საქმე“. 43. *(იხილეთ ფოტო)* ვინ არის? 45. რა ერქვა ერთ გლდანელ მოჭიდავეს? 48. გურამ ფანჯიკიძის ელექტრო „ინვენტარი“. 51. ცხოველთა „ნახალოვკა“. 52. *(იხილეთ ფოტო)* ვინ არის? 54. აფრიკის სახელმწიფო. 56. ჩრდილოეთის ქარი. 59. რომაელი დიდგვაროვანი პატრიციების კარჩაკეტილობის ტრადიცია. 60. ზოდიაქოს ნიშანი. 61. ჩეხი მწერალი ქალი. 63. პუშკინის პროზის პერსონაჟი. 65. ფრანგ მეფეთა ყველაზე გავრცელებული სახელი. 66. საწოლის სახესხვაობა. 68. აბრეშუმის თავსაფარი. 69. „ამრევ-შემრევი“. 70. სოფელი გურჯაანის რაიონში. 71. ქალაქი თურქეთში. 74. წესი, რიგი, ადათი... 76. ჩვენი „წინაპრის“ შთამომავალი. 78. ქალაქი საფრანგეთში. 80. აღმოსავლური ანეკდოტების გმირი. 81. გარეგნული ფაქტორი. 82. *(იხილეთ ფოტო)* გაიხსენეთ პერსონაჟის სახელი იმ ფილმიდან, რომელშიც ამ მსახიობმა სიჭაბუკისას ითამაშა.



გასული ნომრის კროსვორდი მთლიანად ამოხსნა
**სერგო ფანჩვიძე**


## სტუდია «ვიდეოეკრანის» ჰიტ-პარადი

*(გაყიდული კასეტების რაოდენობის მიხედვით)*

1. **Маикл**
(ჯონ ტრავოლტა, ენდი მაკდოველი) — კომედია
2. **Святой**
(ველ კილმერი, ელიზაბეტ შუ) — ბოევიკი
3. **Два дня в долине**
(ჯეიმზ სპაინდერი, დელი აუილო, ერიკ შტოლცი) — ბოევიკი
4. **Обмен (Максимальный риск)**
(ჟან კლოდ ვანდამი, ნატაშა ხენსტრიჯი) — ბოევიკი
5. **Призрак и тьма**
(მაიკლ დუგლასი, ველ კილმერი) — სათავგადასავლო ბოევიკი
6. **Сново в деле**
(ბრაიან ბოსვორტი) — ბოევიკი
7. **Защитник**
(ჯეტ ლი) — ბოევიკი-კარატე
8. **Это старое чувство**
(ბეტ მიდლერი, დენის ფარინა) — რომანტიკული მელოდრამა
9. **Мерия**
(ალ პაჩინო, ჯონ კუზაკი, ბრიჯიტ ფონდა) — კრიმინალური დრამა
10. **Спящие**
(რობერტ დე ნიკრო, დასტინ ჰოფმანი, ბრედ პიტი) — კრიმინალური-დრამა

## ქართული ესტრადა

1. გიგა სანიკიძე-3
2. ქართული ესტრადა
3. ქართული ნაკრები
4. ცაბაძე-დოლიძე
5. პანჩო (თბილისური)
6. კობა გელაძე-2
7. ზაზა ჩოგოვაძე 2,3,4
8. მიკო - 97
9. მერაბ კაშია
10. ბუბა კიკაბიძე

## რუსული ესტრადა

1. 2 PAC
2. Celine Dion
3. Backstree boys
4. EAST - 17
5. Metal (Ballads)
6. Super MTV - 97
7. Padio Rap - 97
8. Sting
9. Queen
10. Toni Braxton

## უცხოური ესტრადა

1. Лучшие песни года - (96)
2. Т. Буланова
3. СОЮЗ - 16, 17, 18, 19
4. Хит парад
5. В. Меладзе
6. Люба Успенская
7. И. Алегрова
8. Петлюра
9. А. Варум
10. Н. Королева

## სტუდია «ვიდეოეკრანის» მომავალი კვირის კინო-სიახლენი

1. **Теневой заговор**
(ჩარლი შინი, დონალდ სეზერლენდი, ლინდა ჰემილტონი)
2. **Английский пациент**
(ჟულეტ ბინოში, რალფ ფინესი) — დრამა
3. **Автокатастрофа**
(ჯეიმზ სპაიდერი, რაზანა არკეტი, ჰოლი ჰანტერი)
4. **Судебная ошибка**
(ბილ პულმანი, რობერტ ლოჯია) — დეტექტივი
5. **Перед рассветом**
(ეტან ხოუკი, ჯული დელპი) — კომედია
6. **Чемпионы**
სუპერ ბოევიკი
7. **Кровавая луна**
(გარი დენილსი) — ბოევიკი-კარატე
8. **Опасная леди**
(შერონ უორი) — ეროტიკული ტრილერი
9. **Домой дороги нет**
(ტიმი როტი, ჯეიმს რუსო) — ბოევიკი
10. **Марс**
(ოლივიე გრიუნერი) — ფანტასტიკური-ბოევიკი

მომავალი კვირა ყველაზე იაფად ჩაწერილი აუდიო კასეტები «ვიდეოეკრანში» ფასი 1,5 ლარი (ფასდაკლებით)

ყოველი ამ ფილმის შეძენა შეგიძლიათ სტუდია „ვიდეოეკრანში“ ტელ: 62-72-38


## გასული ნომრის პასუხები
## ნაცნობი იტალიელები...

თარაზულად: 16. შიკოლონე. 16. ვერგილიუსი. 17. გარგანტუა. 19. ლოლობრიჯიდა. 20. ტორკვატო. 81. ბასტილია. 23. ვიალი. 25. პავაროტი. 26. ნოემბერი. 27. დანტე. 30. მასტროიანი. 32. ანბლიტიკა. 33. ემისია. 28. პროსტიტუცია. 40. მილიტარისტი. 42. პლეადა. 42. საკი. 45. მანჰეტენი. 48. ერი. 50. რიჟკოვი. 51. მატრიარქატი. 54. პიცა. 55. ვიიონი. 56. ბალანჩივაძე. 62. ოსტანკინო. 65. კალათბურთი. 67. იუმი. 69. ოსი. 72. სტუ. 74. იმპერიალიზმი. 75. ტარიელი. 76. მიგრანტი. 77. მარაო. 78. ფსევდონიმი. 79. ტაია. 80. ვერდერი. 83. ათეიზმი. 84. ნერონი. 85. კარდინალე. 86. მურილიო. 87. კიკილა. 88. ალუმინი.

შვეულად: 1. ჩიჩოლინა. 2. ჯოტო. 3. კობრა. 4. ქენჯნა. 5. კვადრატი. 6. ყურე. 7. რიტორიკა. 8. ვისკონტი. 9. ესპანეთი. 10. ჰამბურგერი. 11. აგასი. 12. ანდიჟანი. 13. ჯულიეტა. 14. პარანა. 18. მონბლანი. 22. ტოგა. 24. ლიტისია. 28. კომისარჟევსკაია. 29. ბიზანტია. 31. ასუნსიონი. 34. სერ. 35. ტრიფონი. 36. ლაციო. 37. უტა. 39. რილეევი. 41. ტიერი. 44. კრიშნა. 46. აჯა. 47. ჰერბარიუმი. 49. დიპლომი. 50. რვანახევარი. 52. რაინი. 53. ქავა. 57. აბისინია. 58. ეჯიბი. 59. საფირონი. 60. ბახტრიონი. 61. არგენტინა. 63. სუმგაითი. 64. ნილოსი. 66. ბორდიური. 68. მოგვერდი. 70. სატირალი. 81. ემუ. 82. ჰაუ.


ის „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
ილია ჭრელაშვილი
პაატა დავითაშვილი
ბაქარ მათიკაშვილი
ზურაბ აბაშიძე
იოსებ გენებაშვილი
მაია კვირიკაშვილი,
ქეთი უერთაშვილი
მისამართი: უზნაძის ქ. 18
(საქწიგნის შენობა, I სართული)